

პ ა ტ ი ვ ც ე მ უ ლ ო კ ო ლ ე გ ე ბ ო !

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი იწყებს მასალების მიღებას თსსუ-ის 2021 წლის სამეცნიერო შრომათა კრებულში პუბლიკაციისთვის (ტომი 55).

გამოსაქვეყნებლად მიიღება თსსუ-ის აკადემიური და/ან სამეცნიერო პერსონალის ავტორობით/თანაავტორობით შესრულებული სამეცნიერო ნაშრომები (მიმოხილვითი ან ორიგინალური სამეცნიერო სტატია, შემთხვევის აღწერა, სხვ.). შეგახსენებთ, რომ წარმოდგენილ მასალაში (ორიგინალური სტატია) მკაფიოდ უნდა იყოს ასახული გამოკვლეული საკითხის/პრობლემის თანამედროვე მდგომარეობა და კვლევის საგნის აქტუალობა, კვლევის მიზანი, ამოცანები, კვლევის ტიპი, დიზაინი, მეთოდები, შედეგების სარწმუნოების დასადგენი კრიტერიუმები, შედეგები, მათი ინტერპრეტაცია და დასკვნები, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა. მიმოხილვითი და/ან შემთხვევის აღწერის ამსახველი სტატია უნდა შეესაბამებოდეს ამგვარი პუბლიკაციებისადმი დადგენილ სტანდარტებს. სტატიები მიიღება ქართულ ან ინგლისურ ენაზე; სტატიას თან უნდა ერთვოდეს რეზიუმე ინგლისურ და ქართულ ენებზე (თითოეული - 1000 სასტამბო ნიშნის მოცულობით მაინც; ქართულენოვანი რეზიუმე - ქართული რეფერატული ჟურნალისათვის (ქრე). სტატიის და ინგლისურენოვანი რეზიუმეს მოცულობა (ჯამურად) არ უნდა აღემატებოდეს 5 გვერდს (ფორმატი A4; Microsoft Word; შრიფტი: ქართული ტექსტისთვის - AcadNusx, ინგლისური ტექსტისთვის - TimesNewRoman, ზომა - 12, სტრიქონებს შორის ინტერვალი -1); სტატიის საილუსტრაციო სურათი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იქნას დამოუკიდებელ ფაილად "jpg" ფორმატში (რეზოლუცია - 250-300 dpi), ხოლო დიაგრამები - Excel-ის ფაილში.

კრებულში დასაბუჯდ ნაშრომთა რაოდენობა შეზღუდულია. კრებულში ერთმა ავტორმა შეიძლება გამოაქვეყნოს არაუმეტეს სამი სტატიისა, ხოლო ერთი სტატიის ავტორთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხუთს. გადაწყვეტილებას წარმოდგენილი მასალის კრებულში პუბლიკაციის შესახებ, რეცენზირების შემდგომ, მიიღებს კრებულის სარედაქციო კოლეგია.

გთხოვთ, მასალა ზემოაღნიშნული მოთხოვნების დაცვით წარმოადგინოთ თსსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში (II სართული, ოთ. №N223, 224) 2022 წლის 1 თებერვლამდე (ხათვლით) შემდეგი სახით: 1 ნაბეჭდი ეგზემპლარი, მისი ელექტრონული ვერსია CD-ზე (ან E-mail-ზე – irma@tsmu.edu). სტატია ვიზირებული უნდა იყოს შესაბამისი დეპარტამენტის/ლაბორატორიის/სტრუქტურის ხელმძღვანელის მიერ (მისი თანაავტორობის მიუხედავად). გთხოვთ, მიუთითოთ ავტორთა საკონტაქტო ტელეფონები და E-mail-ი.

გთხოვთ, სტატიის „ქული“ გააფორმოთ ქვემოთ მოყვანილი თანმიმდევრობით:

ავტორის/ავტორთა გვარი, ინიციალები
ს ა თ ა უ რ ი

ორგანიზაცია/სტრუქტურა, სადაც შესრულდა ნაშრომი



შრომათა კრებულის სარედაქციო კოლეგია
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

28/09/2021